გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდიკელის საგაზეთოს. გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სა პო ლი ტი კო და სა ლი ტე რა ტუ რო გა ზე თი 1877 1888

ოთხშაბათს, 6 აპრილს,

სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში

ბ-ნი ი. მეუნარგია წაიკითხავს მეორე ლექციას

## თ. გრ. ორბელიანზე

ლექცია დაიწყება საღამოს 8½ საათზე.

---

6-ს აპრილს, ოთხშაბათს, 7½ საათ., მოხდება საზოგადო კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა:

განსახილველი საგნები:

1) მიმომდინარე საქმეები;

2) მოხსენება საზოგადოების ნამდვილის წევრისა, ბ-ნ ენფინჯიანცისა, თამბაქოს თესვასა და მოყვანაზედ.

კრებაზე შეუძლიანთ დაესწრენ არა-წევრთაც.

---

ტფილისი, 5 აპრილი

ყველას მოეხსენება გაზეთებიდამ, რომ ფლოკე გამთავარ-მინისტრდა თუ არა, შეუდგა იმ პროგრამის შედგენას, რომელიც ჩვეულებრივად უნდა წარედგინოს ხოლმე პალატას ყოველ ახალ სამინისტროსაგან და რომელიც აღსაარებაა იმისი თუ,—რას ჰპირდება ახალი სამინისტრო ქვეყანას და რა აქვს საგნად თავისის მოქმედებისათვის სამერმისოდ. პროგრამის შედგენა ცოტად თუ ბევრად დაუყოვნდა ფლოკესა. მიზეზი ამისი ის იყო, რომ ფლოკეს ჰსურდა იმისთანა პროგრამა შეედგინა, რომ ყველა გავლენიანს დასს სანუგეშო რამე ჰქონოდა პროგრამაში მოხსენებული. ეს იმისათვის იყო საჭირო, რომ ყველა გავლენიანს დასს პალატისას მონაწილეობა მიეღო სამინისტროში და ამით უმრავლესობა პალატისა მომხრედ გაჰხდომოდა ახალს სამინისტროს. ხოლო ფლოკეს ვერ მოუხერხდა თავისი დაწყობილება. რადიკალთა აზრთა სძლიეს და პროგრამაში ჩართულ იქმნა ორი მუხლი: ერთი შესახებ კონსტიტუციის ხელ-ახლად გადასინჯვისა და მეორე განცალკევება ეკკლესიისა სახელმწიფოსაგან.

ამ ორმა მუხლმა შეუძლებელ ჰყო ერთს სამინისტროში მოთავსება სხვა-და-სხვა გავლენიან დასისა. ოპორტუნისტებმა უარი უთხრეს ფლოკეს და ეგრედ წოდებულმა „მემარცხენეთა კავშირმა“-ც იუარა ეგრეთი პროგრამა და დღეს ეს გავლენიანი ნაწილი პალატისა მტრად გაჰხდომია ფლოკეს. ფლოკე ყოველ ამის გამო იძულებულ შეიქმნა შეედგინა თავისი სამინისტრო განსაკუთრებით რადიკალთა დასის წარმომადგენელთაგან. ამან უფრო გაამწვავა მომდურავნი პროგრამისა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ფლოკეს კიცხვა დაუწყეს უშვერისა და უმართებულო სიტყვითა.

ყველაზედ უშვერის სიტყვით იხსენიებს ფლოკეს გაზეთი «მემარცხენეთა კავშირისა» «Journal des Débats». სწორედ მიწასთან ასწორებს იგი იმ კაცს, რომელსაც ამოდენა ხანი საფრანგეთი იწვევდა სამინისტროდ და რომელიც დღეს მთავარ-მინისტრია. ამ გაზეთზედ ცოტად თუ ბევრად დაწინაურებული გაზეთი «Temps»-იც ჰკიცხავს ახალს სამინისტროს, თუმცა-კი ისე არ იგინება, როგორც „Débats“-ი. თუ ფლოკეს მართლა ჰსურდა ერთად მოთავსება ყოველის გავლენიანის დასისაო, ამბობს «Temps»-ი, ჯერ უნდა ეფიქრნა მასზედ, რომ გაეუქმებინა იგი მუხლნი პროგრამისა, რომელნიც მიზეზნი არიან განხეთქილებისაო. ეგ მუხლნი განცალკევებაა ეკკლესიისა სახელმწიფოსაგან და კონსტიტუციის ხელ-ახლად გადასინჯვაო.

გაზ. „Republique Française“ ამბობს, რომ ამ საგნების გამოლაპარაკის ატეხა დღეს, როცა რესპუბლიკას ყოველ მხრიდამ საშინელს მტრობას უქადიან, რესპუბლიკის დაცვას-კი არ მოასწავებს, არამედ საზოგადოებურ წესის დარღვევასა. ეგ იმასა ჰნიშნავს, რომ უფრო ღრმად მოჰსურვებიათ ამღვრევა ქვეყნისა, რომელსაც მოელის ქუჩის ანარხია და ცეზარიული დემაგოგიაო. გაზეთის «Siécle»-ის აზრით ახალი სამინისტრო მკვდრად დაბადებული ბაშვია.

რეაქციონური გაზეთები ხომ ამაზედ შორსაც მიდიან და იქამდე თავს გადიან, რომ ამბობენ: «საფრანგეთი თავის დღეში ამისთანა სამარცხვინო ხელში არ ჩავარდნილაო». ერთის სიტყვით, როგორც რეაქციონური გაზეთები, ისეც ზომიერ-ლიბერალურები აემალნენ სამტროდ ახალს სამინისტროს და მალე დამხობას უქადიან.

უცხო ქვეყნების გაზეთები უფრო აუტაცებლივ და ჭკვა-დასმით საუბრობენ და სჯიან ფლოკეს მინისტრობის თაობაზედ და ცოტად თუ ბევრად თანაგრძნობით და მოწონებით იხსენიებენ, ნამეტნავად გერმანული გაზეთები. რა თქმა უნდა, რომ აუტაცებელი, ჭკვა-დამჯდარი სიტყვა უცხო ქვეყნელთა დიდს სამსახურს ვერ გაუწევს ფლოკესა. საქმე შიგნიდამ ციხის გატეხის შიში არის. აქ გაგაპასებული ჭირვეულობა სხვა-და-სხვა დასებისა შემძლებელია იმოდენად აწეწოს საქმე, რომ ქვეყანა აშალოს და აამღვრიოს და ფლოკეს სამინისტროს ფეხი მოასხლიტინოს. ორში ერთი დარჩენია ფლოკეს: ან ყოველს განსაცდელს დასთა ბრძოლისას მიეცეს,—რაც გამოვა, გამოვიდესო; ან ეხლანდელი პალატა დაითხოვოს და ახალი არჩევანები დაჰნიშნოს, ესე იგი, დაეკითხოს საფრანგეთის ერსა. ორივე ძნელი გასაბედია. პირველი იმიტომ-რომ პალატა უსათუოდ ფეხს წამოაკვრევინებს, რადგანაც შესაძლოა, ოპორტუნისტებმა და მემარცხენეთა კავშირმა მხარი მისცენ მემარჯვენეთა და ყოვლად უძლეველი უმრავლესობა პალატისა შესდგეს წინააღმდეგ ახალის სამინისტროსი და მაშინ ხომ ერთს დღესაც ვეღარ იხეირებს ახალი სამინისტრო. დათხოვნა პალატისაც და ახალის არჩევანების დანიშვნაც დიდად საშიშია, თუ კაცი დაუკვირდება იმ ამბებს, რაც ბულანჟეს გამო მოჰხდა ამ ბოლოს ხანს საფრანგეთში. რადგანაც ეხლანდელ წესების ძალით ერთსა და იმავე კაცს შეუძლიან კენჭში ჩამოატაროს ერთსა და იმავე დროს ყველა დეპარტამენტში, ამიტომაც საშიშია, რომ ბულანჟეს კენჭის-ყრა პლებისციტად არ გადაექცეს და მაშინ ვინ იცის რა მოჰხდეს საფრანგეთში. ამ გაჭირებულ მდგომარეობისაგან როგორ დაიხსნის თავს ახალი სამინისტრო ამას დრო გამოაჩენს.

---

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, ორშაბათს საღამოს, ბანკის თეატრში ბ-ნმა იონა მეუნარგიამ წაიკითხა პირველი ლექცია თ. გრ. ორბელიანის შესახები. ლექცია, როგორც მოველოდით, იმოდენად სასიამოვნო აღმოჩნდა. ლექტორმა თავისი ლექცია მშვენივრად შეამკო ხასიათის გამომეტყველ სხვა-და-სხვა ამბებითა და ეს ამბები საკმაოდ კარგად აეკინძა ერთიანის შთაბეჭდილების მოსახდენად მსმენელებზე. ამ პირველ ლექციამ დაგვიხატა გრ. ორბელიანი თავის შინაურობაში, თითქმის დაბადების დღიდგან 1837 წლამდე. ლექტორის აზრით, გრიგოლი უნდა იყოს დაბადებული თუ 1800 წელს არა, ცოტა ადრე მაინც. ლექტორმა საკმაო მაგალითები მოიყვანა იმისი, თუ რა გულისა და სულის პატრონი იყო გრ. ორბელიანი, რა თავაზიანი, უწყინარი, უბოროტო კაცი იყო შინაურობასა, ნათესაობასა, მახლობელობასა და მეგობრობაში. თუმცა პირველ დროდგან-

---

# ფელეტონი

### მწყემსის ანდერძი

თქვენნიმც თვალნი დამიტირებენ,
სწორებო, განაცვლენითა;
ნუტავი მენა, თუ მიწა
მედირსა თქვენის ხელითა.
აქ ნუ გამწირავთ, წამიღეთ,
ჩემს ადგილს მიმაბარეთა;
გზა-გზა ქურდულად მავლიეთ,
ნაბადი წამაფარეთა.
ჩემთ მამა-პაპათ გვერდითა
სამარე გამითხარეთა;
სიცოცხლით ჩამწარებული
მკვდარ მაინც გამახარეთა.
დამცქერდეს დიყელის გორი,
ინოს მთა ჭიუხიანი,
ყანჩად ნაღრანტი აქა-იქ,
ხევები შალდაყიანი.
ხმალიც თან ჩამაყოლოდით,
ჩემი ფრანგული ფხიანი.
ქალს, თვალ-მაქმანას უთხრობდით,
მალე მაიჭრას თმანია,
მკვეთში კელაპტრად მინდან,
რო გავიკვლიო გზანია.
ხომ იცით, უთვის-ტომო ვარ,
მამგონე არა მრჩებაო;
ვინ აიტკივებს ჩემთვი თავს,
დღეში ათასი კვდებაო?!
ჩემ სარჩო-საბადებელი
მიმირთვით თამარ-ნეფესა*).
განაცვლეთ, ნუ მამიშიებთ
ბროლას, თეოზე მეფესა.
რო შაიყარნეთ ციხე-გორს,
ან ლაშარს დავლათიანსა,
ფშავლებო, გამი[illegible]
დიდს არა[illegible] მოგცემთ ზარსა!

ვაჟა-ფშაველა

---

### მისტერ სომი

([illegible])

ყველიერის ხუთშაბათს სულიეს ცირკში დანიშნული იყო ბენეფისი პირველის ჯამბაზისა და საუკეთესო ოხუნჯისა, სახელდობრ მისტერ სომისა.

დილა-ადრიანვე მიაწყდა ხალხი ცირკის კასსას, შემოერტყა ალყად და თითქმის იერიშით იღებდა ბილეთებს. ვეებერთელა აფიშაზე უშველებელის ასოებით იყო დაბეჭდილი «ოლიმპიური საღამოვო». მერე ჩამოთვლილი იყო, ვინ რა ჯამბაზობა და მასხარაობა უნდა შეასრულოს, ვინ ცხენზე უნდა ითამაშოსო და ამ ჩამოთვლილ ნომრებ შორის წითელ სტრიქონად ისიც ეწერა, რომ თვით ბენეფისე საოცარს მალაყს გადავა ჰაერში და მერე გაჰფრინდებაო. ამ მალაყს ანუ სალტო-მარტალეს ჰქვიან: «სიცოცხლე ან სიკვდილიო».

საღამოს რვა საათი შეიქნა და დაიწყო ხალხმა დენაცა ცირკში. შორიდამვე ბნელს ღამეში მოჩანდა გაფრიალებული ბაირაღი და იმის ქვეშ კიდევ ცირკის კამარა, ბენგალის ცეცხლით საამურად განათებული. ცირკის წინ მეიდანზე ხალხისაგან ზედახორა იყო გამართული; აქეთ-იქიდამ მოჰქროდნენ ეტლნი და მოჰყვანდათ მდიდრულად ჩაცმულნი. ჩამოხსდებოდნენ თუ არა დიდ-კაცნი, ეტლნი წამსვე მიჰქროდნენ ალაგის მოსაშანდაკებლად. საერთო არეულობისა და ქლავი-ქლუვისაგან ვერას გზით თვალს ვერ მოასწრობდით, რომელი ეტლი საით მიდიოდა და რომელი—საით. დიდ კარებიდამ დაწყებული თითქმის ორ-სამ გუთნის გაშლაზე დამწკრივებულიყვნენ ძვირფასნი ეტლნი. მეეტლენი მჭახე ხმით ჰყვიროდნენ: «ხაბარდაო», და გზას უკვლევდნენ ეტლებს; ცხენები ფრუტუნებდნენ, ფრთხოდნენ, აქეთ-იქით იწევდნენ და ყალხზე დგებოდნენ. გრძელისა და მხიარულ ფერის სამოსლით ბურვილნი მოსამსახურენი ფაცი-ფუცობდნენ და გამოჰყავდათ კარებიდამ თვალტანადნი ქალნი მაღალის საზოგადოებისანი. ცირკი თან-და-თან ივსებოდა და, თითქო ჭიანჭველის სოროაო, ისე გაჰქონდა შიგ ფუსფუსი და შიშინი ხალხსა. ლოჟებში, იქვე ცირკის კრკალ გარეშემო, დიდ-კაცობასა და მდიდრებს მოეკალათებინათ. პირველ რიგის სელსა და სავარძელთ შორის გაჰქონდა ჩხარა-ჩხური ხმლებსა და დეზებს, ბრწყინავდნენ ცილინდრები, პენსნეები, მონოკლები (ცალ თვალზე გასაკეთებელი სათვალე); ხარისხოვანნი მოხუცნი ტკბილად ულიმოდნენ ქალებს და ფამფალითა და ხიხინით დაეძებდნენ თავიანთ ალაგებს სკამებში; ზემოდ, გრძელ ფიცრის სასხდომებზე, რომელთაც წითელი მაუდი ჰქონდათ გადაფარებული, ისხდნენ სხვა-და-სხვა ფერის ტანისამოსით შუათანა შეძლების პატრონები, ხოლო თვით ამფითეატრი გაჭედილი იყო მდაბიო ხალხით, რომელიც ბუზივით ირეოდა და ზღვასავით ჰღელავდა მხოლოდ ოდნავ განათებულს ცირკის დარბაზში.

ერთხელ-ორჯელ მოუთმენლად დაიწყო ხალხმა ფეხის ბრაგუნი; ჰაღები მსწრაფლ განათდა, მუსიკამ დაუკრა უვერტიურა, გაისმა უ[illegible]იამოვნო წვრილი ხმა, თითქო რაღაცამ დაიწივლაო, და სარბიელზე გამოცვივდნენ მასხარანი, ძმანი ფრეი, ჰაერში ყირა-ყირა ტრიალით. ძმებმა რაღაც სამასხარო ჰანგი დაუკრეს ჭიანურზე... შემდეგ გამოვიდნენ ცხენოსანი კაცები და ქალები და დაიწყეს ჯირითი; ამათ მოჰყვნენ ჯამბაზები, ჟონგლერები. ამფითეატრიდამ ანუ ცირკის ზემო ბაქნებიდამ გულ-უხვი ტაშისკვრა მოისმოდა; დანარჩენ საზოგადოებას-კი, განებივრებულს და ყველაფრით გულ-აყუჩებულს, ყველა ესენი ვერ გააკვირვებდა. ამ საზოგადოებას უფრო უცნაური რამ სანახავი უნდოდა, საკვირველი და საარაკო. ამიტომ მოუთმენლად მოელოდა, რომ სარბიელზე გამოსულიყო ყვე-

---

*) სალოცავი

ვე ვარდით არა ყოფილა მოფენილი ცხოვრება იმისი და ბევრი უბედურება დაუნდობელ წუთი-სოფლისგან თავს გადახედია და გულში დიდ ნაღვლად ჩასჩნევია, მაგრამ გული მით მაინც არ გასტეხია. სასიამოვნო მაგალითებმა, რომელნიც ლექტორმა წარმოგვიდგინა გრ. ორბელიანის მიწერ-მოწერისაგან, ცხადად დაგვიმტკიცა, რომ ამ გამოჩენილის კაცის გულში ნაღველთან ერთად მხიარულს და უწყინარს ოხუნჯობასაც ადგილი ჰქონია. ამ ოხუნჯობის მაგალითებმა არა ერთხელ ჭეშმარიტი სიამოვნება და მხიარულობა აღძრა მსმენელთა შორის.

ლექტორმა საკმაო გონება-მახვილობით მოჰფინა შუქი იმ დროთა ვითარებას, რომლის ავ-კარგიანობაში დაიბადა გრ. ორბელიანი და აღიზარდა. ეს ავ-კარგიანობა არ შეიძლებოდა არ დასჩნეოდაო იმ ოჯახის მოზარდს შვილს,—სთქვა ლექტორმა—რომელიც მეფე ერეკლედამ დაწყებული ან მოწამე და ან მონაწილე იყო ყოველის მომხდარის საქმისა და რომელსაც, მაშასადამე, ამ საქმეების გამო განუწყვეტელი სჯა და საუბარი ექმნებოდა ყოველ დღე. ამ საუბარსა და სჯას ვერ ასცდებოდა დედმამის საყვარელი შვილი გრიგოლიცაო. ამ სახით პირველ შთაბეჭდილებას გრ. ორბელიანისას დასაბამი აქ უნდა ჰქონდესო.

თუმცა ჯერ კიდევ, როგორც ამბობენ, სამი ლექცია იქნებაო, მაგრამ ეს პირველი ლექციაც ღირს-სახსოვარია· იმით, რომ საკმაო ღონის-ძიებას აძლევს კაცს ნათლად ახსნას თითქმის მთელი მიმართულება გრ. ორბელიანის პოეზიისა და ბუნება იმ საგნებისა, რომელთაც მიიზიდეს მისი შემოქმედობითი ძალი.

ამ პირველის ლექციისაგან სჩანს, რომ შემდეგი ლექციებიც, თუ არ მეტად, ასევე სასიამოვნო იქმნება მოსასმენად და გონებაში ჩასარჩენად. მარტო ერთს რასმე შევნიშნავთ ბ-ნ ლექტორს: მეტად ჩქარა ჰკითხულობს, ფრაზის ბოლო სიტყვებს გასარჩევად ვერ ამბობს და შესანიშნავს ადგილებს ვერ უფერებს ხმის კილოსა. ცოტა არ იყოს თვითონ ალნაქსიც (სტილი) მეტყველებისა აჭრელებული გვეჩვენა: მოხდენილს საუბარს ზოგან შიგ ჩართული ჰქონდა იმისთანა სიტყვა-პასუხი, რომელიც ქართულს არ უხდება. ეს მცირედი ნაკლი არაფრადა სჩანს იმ დიდ ღირსებასთან, რომელიც ლექტორმა გამოიჩინა და მით ასიამოვნა მსმენელები.

*** დღეს, ოთხშაბათს, ბ-ნი ი. მეუნარგია წაიკითხავს მეორე ლექციას თ. გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებაზე.

*** ხშირად ისეთს საქმეს წააწყდებით ხოლმე, რასაც არც არავითარი შესაწყნარებელი საბუთი აქვს და არც საფიქრებელია. ტფილისის გამგეობას ქალაქში გაუკრავს განცხადება იმათ მიმართ, ვინც სამხედრო სამსახურში გასაწვევნი არიან. ეს განცხადება მხოლოდ რუსულსა და სომხურს ენაზეა დაწერილი, თითქო ტფილისში სხვა ენაზე არავინ ლაპარაკობდეს და თითქო ქართველებს ვალად არ აწევს სამხედრო სამსახური. იქნება გამგეობას ან ხარჯისა შეეშინდა, ან აზრად არ მოუვიდა, რომ ქართველებიც უნდა გაიწვიონ ჯარშიო, მაგრამ არც ერთი ამ მიზეზთაგანი შესაწყნარებელი-კი არ არის.

*** ტფილისის გუბერნატორის ბრძანებით აკრძალულია ფაიტონებით და ცხენებით სეირნობა მუშტაიდში, რათა ჰაერი არ გამტვერიანდეს და მოსეირნე ხალხმა ისუნთქონ წმინდა ჰავა. ფაიტონებით და ცხენებით სიარული, ისიც ნელ-ნელა, შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომელიც ალაყაფის კარიდგან (მიხეილის ქუჩიდგან) მიდის სადღაც ადგილისა და დიდუბისაკენ. ფაიტონებისა და ეტლების სადგომად დანიშნულია ადგილი «ტრამვაის» როტონდის მახლობლად. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, ის სამართალში მიცემული იქნება.

*** ფოთი: როდესაც ბათუმი შემოუერთეს ჩვენს მხარეს, მაშინ თითქმის ყველანი იმას გაიძახოდნენ, რომ ფოთის საქმე სრულიად უიმედო და დაკარგულიაო. მართლადაც, ფოთმა კამათობა ვერ გაუწია ახალს მოქიშპეს და პატარა ბათუმმა ძალიან დასჩაგრა ფოთი, რომელიც დღითი-დღე თან-და-თან ეცემოდა და ღარიბდებოდა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ფოთის ნავთ-სადგურს არა ეშველა-რა და შავმა ზღვამ შთანთქა რამდენიმე მილიონი ფული. მაგრამ ტყუილი ნათქვამი არ არის, რომ ჟამნი იცვლებიანო და სწორედ ასე მოსდის ფოთსაც. ეხლა, როგორც წინადვე გაცნობეთ, ფოთი, მას აქეთ, რაც ნავთ-სადგურის დასრულების იმედი გაძლიერდა, თან-და-თან წარმატებაში შედის. ბათუმიდგან ვაჭრები ფოთისაკენ მოიზიდებიან და აქ მკვიდრდებიან, რადგანაც საქონლის გატან-გამოტანა ფოთში უფრო იაფად ჯდება, ვიდრე ბათუმში. ფოთიდგან საქონლის გაგზავნა ერთისა და ორის კაპეიკით ნაკლებად ჯდება ფუთზე, ვიდრე ბათუმიდგან.

*** ქუთაისი: ამ ჟამად ბ-ნს ა. ბენაშვილს გადააქვს ნოტებზე ქართული საეკკლესიო საგალობლები. ლოცვისა, ცისკრისა და ზოგიერთი სხვა საგალობელი კიდეც შედგენილი აქვს, მაგრამ დაბეჭდვას ვერა ჰბედავს, რადგანაც წინანდელს გამოცემას ზარალის მეტი არა მიუცია-რა ბენაშვილისათვის. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენში ნოტების მცოდნე კაცი დღითაც სანთლით უნდა ეძიოთ. კარგი იქნებოდა, რომ საეკკლესიო საგალობლებს ცალკე დაჰბეჭდავდეს, იქნება ეკკლესიებმა მაინც გამოიწერონ.

*** ახალქალაქი (ახალციხის მაზრა): ამ წლის ნოემბრიდგან ახალქალაქიდამ არტაანამდე ფოსტა დაიწყებს სიარულს. ეხლა სადგურებს ამზადებენ. ეს გარემოება ფრიად სასიამოვნოა ახალქალაქელებისათვისაც, რადგანაც ეს გზა დაუახლოვებს არტაანს, ოლთისსა და ყარსს. ახალქალაქიდგან არტაანამდე 85 ვერსია; ვისაც გაჭირება ჰქონდა, ერთი-ხუთად ქირაობდა ფურგუნს და ისე მიდიოდა. ფოსტა ახალქალაქიდგან პირდაპირ ყარსზე უვლიდა.

*** კავკავი: სოფ. დარყავსში ამ ორის კვირის წინად შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ამ სოფელში სცხოვრობს ორი ოჯახი, დიდის ხნიდგან გადაკიდებული და გადამტერებული—ბატიევისა და ბალაევისა. ერთს ყრილობაზე, რომელზედაც დაესწრო ბატიევი, ბალაევიც მოვიდა. ბატიევმა დაინახა თუ არა ბალაევი, შესძახა: მე და შენ მტრები ვართ და სადაც მე ვიმყოფები, იქ შენ რად მოხვედიო. სთქვა ეს ბატიევმა, ხანჯალი იშიშვლა და ჩასცა მუცელში ბალაევს, რომელიც ცოტას ხნის შემდეგ გარდაიცვალა. დაინახეს თუ არა ძმის უბედურება, ბალაევის ძმები გაეშურნენ ბატიევის რვა წლის ძმისაკენ, რომელიც სოფლის ახლო-მახლო ცხვარსა მწყსიდა; ბალაევებს ეს ბიჭი უნდოდათ მოეკლათ და ამით სისხლი აეღოთ. ერთი დამსწრეთაგანი მიუხვდა განზრახვას, ფიცხლავ ცხენს შემოახტა და გასწია პატარა მწყემსისაკენ; გაუსწრო ბალაევებს და მიიჭრა ბიჭთან, რომელიც თავისთვის იჯდა და ღიღინებდა.

— ბიჭო, თავს უშველე; ის ორი კაცი მოკვლას გიპირობენო.

— ისეთი რა დამიშავებია? უპასუხა შეშინებულმა ბიჭმა.

— მოდი, ცხენზე შემომიჯექი, სანამ გვიან არ არის, და იქნება თავს უშველოო.

სთქვა ცხენოსანმა ესა და პატარა ბავშვი ცხენზე შეისვა, ხელი შემოჰხვია და ზედ გადაეფარა, მაგრამ ვერას გახდა, ამ დროს ბალაევებიც მოვიდნენ. მარჯვენივ და მარცხნივ ბალაევები მივარდნენ ცხენოსანს და უმანკო მწყემსს გვერდებში დასცეს ხანჯალი. საბრალო მწყემსმა იმ წამსვე სული განუტევა. მკვლელები დატუსაღებულნი არიან. ამ საქმის გამო გამოძიება სწარმოებს.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს არ მიუღია ბ-ნ დანილოვის თხოვნა იმის შესახებ, რომ სასამართლომ განიხილოს დანილოვის მოქმედება ხიდირბეგიშვილებისა, მდივანისა და სხვების საქმეებში, რომელიც მოხსენებული იყო გაზეთ „Нов. Обоз“-ში (№ 1377, ‹Зигзаги›). სასამართლოს დაუდგენია, რომ დისციპლინარულის წესით გამოიძიონ დანილოვის მოქმედება, რომელიც აღწერილი იყო ბაქრაძის წერილში (‹Нов. Обоз.›, № 1473).

*** ‹Новости› ამბობს, რომ სამხედრო სამინისტროს წარუდგენია ორი პროექტი ახალის რკინის გზის გაკეთებისა საქართველოში. ერთი შტო რკინის გზისა უნდა გაკეთდეს ხაშურიდამ ახალციხემდე, ბორჯომის ხეობაზე, 73 ვერსის მანძილისა. ეს შტო დაჯდება ანგარიშით 4 მილიონზე მეტი, ანუ თითო ვერსი 60,000 მან. ხოლო მეორე შტო უნდა გაიყვანონ ტფილისიდამ გუმბრამდე, კახეთის მხარეზე, 215 ვერსის მანძილისა. ამისი ხარჯი გამოანგარიშებულია 10 მილიონ მანათზე მეტი, ანუ თითო ვერსი 55,000 მანათამდეო.

## წერილი პეტერბურგიდგან

ფლორენციაში იბეჭდება ეხლა ერთი ფრიად შესანიშნავი წიგნი: «Dictionnaire internationale des ecrivants du jour». ამ თხზულებაში მოქცეული იქნება წერილები ყველა ქვეყნების მცირედნადაც საყურადღებო ლიტერატურის შესახებ. რასაკვირველია, საქართველოს ლიტერატურაზედ ან სულ არაფერი არ ითქმევა, ან და, თუ რამ იქმნა, ისეთი უსწორო და სასაცილო ცნობები იქნება მოხსენებული, როგორიცა აქვთ: ელიზე რეკლიუს თავის «მსოფლიო გეოგრაფიაში» და ბ-ნ ზოტოვს «მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში».

საჭირო არ არის განმარტება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერისათვის იმისა, რომ მასზედ განათლებულს ქვეყანას კარგი აზრი ჰქონდეს შედგენილი. მაგრამ თუ რომელისამე მიზეზის გამო ამისთანა შრომა დღეს ჩვენ, ქართველებისათვის მოუხერხებელია, ახირებულის და არა-სამართლიანის ცნობების გავრცელებას ჩვენის ერისა და მწერლობის შესახებ მაინც ხელს ნუ შევუწყობთ.

თუ გვიცნობენ დედამიწაზედ, გვიცნობენ წიგნების საშუალებით, რომლებშიაც მოხსენებულნი ვართ კარგად თუ ავად. რაკი ერთხელ წიგნი ათასობით დაიბეჭდება, გადაითარგმნება სხვა-და-სხვა ენაზედ და მოეფინება ცას ქვეშეთს, მერე იმისი გასწორება, რაც წიგნში შეცდომა შეპარულა, ბევრს დროსა და ცდას მოითხოვს.

ამისათვის საჭიროა, სანამ ამ გვარი

---

ლას საყვარელი სომი. იმ საღამოს სომს მეტად საკვირველი და საოცარი ოინი, თვალთ-მაქცობა უნდა ჩაედინა...

ეს სომი-კი ამ დროს, ვიდრე რიგი მოუვიდოდა, არხეინად იჯდა მოსართავს ოთახში და, თითქო, ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ისეთი საფათერაკო ჯამბაზობა უნდა დაეწყო პატარა ხანს უკანა. ტანთ ეცვა სრულიად ახალთ-ახალი საგანგებო ტრიკო და წელზე ერტყა შავის ატლასის სარტყელი ოქრომკედის ფოჩებ-შემოვლებული და ოქრომკედითვე ნაკერი. თმა გაკრეჭილი ჰქონდა და ზედ-კი მასხარას სასაცილო პარიკი არ გაეკეთებინა; პირი უმარილით მოეთეთხნა, მაგრამ არც ისე ძრიელ, რომ სასაცილო სახე ჰქონოდა, თუმცა-კი უმარილის გამო საკუთარის სახის მეტყველება სრულიად შესცვლოდა; ტუჩები მოკუმული ჰქონდა, წამწმები და წარბები ოდნავ ჰქონდა განგებ გაშავებული, დიდრონი თვალები-კი ძალზედ უბრწყინავდა და ცხადად ამტკიცებდა, რომ სომი გაბედული და თავ-მომწონე უნდა ყოფილიყო. მეტად ნაღვლიანად იცქირებოდა სომი, მეტად უცნაური ცეცხლი წაჰკიდებოდა და თვალთაგან ნაპერწკლები სცვიოდა.

სომი იჯდა გაშტერებული და ერთ მხრისკენ გაიყურებოდა; თვალ-წინ წარმოუდგა თავისი ცხოვრება და ისე გაურბინა, თითქო პანარამის სურათებიაო. აი დღენი ყმაწვილობისა... სომმა თავისი ყმაწვილობა ისე არ გაატარა, როგორც სხვა ყმაწვილები ატარებენ: დედა მალე მოუკვდა, მამა ხომ თვალითაც არ უნახავს და გაგონებითაც-კი არა გაუგონია-რა იმაზე. მხოლოდ ერთი ვიღაც კაცი ახსოვდა, რომელიც ახლო ნაცნობი იყო იმის დედისა. ის კაცი მაღალ-მაღალი იყო, მხარ-ბეჭიანი, მუდამ თმა-აბურძგნული და ძალზედ ნაღვინევი. სომი „ძიას“ ეძახდა ამ კაცს, თუმცა-კი ბიძად სრულიადაც არ მოხვდებოდა. არას დროს საალერსო სიტყვას არ ეტყოდა, არ მიეფერებოდა პატარა სომს ეს უგულო, უზრდელი კაცი და ხშირად ღვინის სმისაგან გონება-დაბნეული, პირ-იქით, სცემდა კიდეც იმის დედას. დედა ცრემლებსა ჰღვრიდა მხოლოდ და იყო გაჩუმებული... შემდეგ, როცა სომს დედა მოუკვდა, აიღო ამ კაცმა და პატარა სომი მისცა ჯამბაზებს... ექვსის წლისა ჩავარდა სომი ჯამბაზების ხელში და საშინელი დღენი გამოიარა: არც ჭამა-სმა იყო იმისთვის, არც გამოძინება. ყველა თავში სცემდა და სწვრთნიდა იმის ნორჩს აგებულებას. ყოველი სახსარი სტკიოდა და უკვნესოდა სომს ამ წვრთნისაგან... რვა წლისა რომ შეიქნა, ჯამბაზობა დაიწყო კიდეც. ლუკმა პურისა და ერთი იღლია თივისათვის, რომელზედაც ძაღლივით ეგდო ხოლმე ღამ-ღამობით, სომი იძულებული იყო საშინელი ჯაფა აეტანა. მაგრამ სომის რკინასავით მაგარმა აგებულებამ ყოველივე აიტანა და ამის გამო უფრო გამაგრდა და გამოიწრთო. ყმაწვილ-კაცობამაც ისე გაიარა, თითქო ერთი საშინელი სიზმარი იყოვო, მაგრამ ჭაბუკობის დრო სჯობდა მაინც სიყმაწვილის დროსა. ჭაბუკობაში, ბუნების წესისამებრ, სომმა ბრძოლითა და ძალადობით წაართვა ცხოვრებას რამდენიმე წუთი სიტკბოებისა, რამდენიმე წუთი მხოლოდ, არც მეტი და არც ნაკლები... ოც-და-ხუთის წლისა რომ შეიქნა, სომი ნამდვილი ფალავანი იყო. ბედმა უშველა სომს და მიანიჭა თავისუფლება; შემთხვევით შეხვდა ერთს ქალს და სულითა და გულით შეიყვარა, შეიყვარა ისე, როგორც-კი შეუძლიან შეიყვაროს ახალგაზდა კაცმა. სომი და ის ქალი ცოლ-ქმარნი გახდნენ; ერთის წლის შემდეგ მიეცათ მშვენიერი ქალი, მაგრამ მერე... მერე, შემოდგომის ერთს მოშავბედებულს ღამეს, სომის ცოლი განქრა სადღაც და ის იყო და ის—სახლში აღარ დაბრუნებულა...

სომს არას დროს არ დაავიწყდება ის ღამე: როგორც საშინელი ლანდი და მოჩვენება აწუხებდეს და სტანჯავდეს ცხელებით ავადმყოფსა, ისე აწუხებდა და სტანჯავდა სომსაც ის შავი და ბნელი ღამე; აწუხებდა, სტანჯავდა და ცეცხლს უკიდებდა მუდამ, განუწყვეტლივ, უკანასკნელ სულის დგმამდე... შემოდგომის ღამე იყო, ცივი, ღრუბლიანი; ისე სწვიმდა, თითქო სცრისო, თავ-პირში სცემდა სომს და უსუსხავდა სახეს. დაღლილი და დაქანცული სომი წარმოდგენის შემდეგ ცირკიდამ მოეჩქარებოდა სახლში. იმედი ჰქონდა, რომ იქ თბილად დაისვენებდა და ცოლის ალერსით დასტკბებოდა... მაგრამ მოღრუბლული და მოწყენილი ღამე კვლავ მოღრუბლული და მოწყენილი იყო... სახლშიაც ციოდა, მოწყენილობა სუფევდა... იმისი ცოლი იქ აღარ იყო. თავ-მინებებული ბავშვი ობოლივით იცქირებოდა, თვალ-ცრემლიანი ეკვროდა მამას და საცოდავად იღრიჯებოდა... თვალებზევე შეატყო ყმაწვილს, რაშიაც იყო საქმე... ეჭვმა გაუელვა გონებაში, გულმა ხმა მისცა გონებას და შეატყობინა დანარჩენი... ცოლი იმ ღამეს აღარ დაბრუნებულა, არ გამოჩენილა მეორე დღესაც... ცხადი იყო, რომ ის ადამიანმა მიატოვა თავისი ქმარ-შვილი. ბავშვი მოწყენილი იყო, დარდობდა და ტირილით გულს უკლავდა. ბოლოს ყოველივე დაწვრილებით შეიტყო სომმა, იპოვნა მოღალატე, მოსძებნა ისიც, ის, თავისი მეტოქეცა...

გრ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხზულებას დაიბეჭდება, მწერლები და მწიგნობრები დაუფიქრდნენ ამ საგანს და თავიანთის მწერლობის შესახებ საჭირო და ნამდვილი ცნობები შეატყობინონ ქვეყნიერებას.

მე, რასაკვირველია, ვამბობ ისეთ პატარა ერზე, როგორიც ჩვენია, თორემ ევროპაში მრავალი მწიგნობარი კაცია, სალიტერატურო საზოგადოებაა, რომელთაც თავიანთი მოვალეობა ძლიერ კარგად იციან.

ჩვენ სულ იმასა ვფიქრობთ და ვზრუნავთ, რომ ვინმემ ტფილისისა, ან ქუთაისის ქართველებზედ ცუდი აზრი არ შეადგინოსო! ამიტომაც ატუდება ხოლმე ჩვენს შორის ერთი ჭაქა-ქუხილი — უქმი და უმნიშვნელო საუბარი! ამას ბევრს დროსა და ძალას ვანდომებთ.

მაგრამ ჰფიქრობს და ჰზრუნავს თუ არა ვინმე მასზედ, რომ მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ სამართლიანი აზრი და შეხედულება იქონიოს „ამ დედამიწის უმშვენიერეს კუთხეზედ“, როგორც უწოდებს ნაპოლეონ პირველი საქართველოს? არა და არა. ამ მხრით ჩვენ არავითარი სამსახური არ მიგვიძღვის ქვეყნის წინაშე. ესლა მე მოვიყვან ზოგიერთ მწერალთა თხზულებიდგან რამდენსამე ადგილს, რომელიც დაგვარწმუნებთ, რა ცუდი რამ არის დაუდევრობა. მე არ ვიტყვი, რეკლიუს ბევრი კარგიც რამ არ ეთქვას ქართველებზედ, მაგრამ მაინც ვერაფერი სასიამოვნო წასაკითხავია მაგალითად შემდეგი: «ბუნებით მდიდარს ქვეყანაში ეს ხალხი (იმერლები) თავის სიზარმაცის გამო გამოუთქმელს სიღარიბეში არის. მთელის წლის განმავლობაში გლეხი მჭადის მეტს ვერაფერს ჰჭამულობს. ტანისამოსის მაგივრად ერთი დაფხრეწილი პერანგი აცვიათ და ქამრის მაგიერ ბაწარი აქვთ წელზედ შემორტყმული. არავითარი ხელობა არ იციან და ყველანი უბრალო, დღიური მუშები არიან. მეგრელები ბინძურს ქოხსა და ფაცხებში სცხოვრებენ, ბევრს ქოხიც არა აქვთ და კლდეებზედ არიან მიბუდულნი. აფხაზებმა ათი წელიწადია, რაც ფული გაიცნეს, თორემ ადრე ალებ-მიცემობაში ფულის მაგიერი პირუტყვი იყო; ძროხას რომ ისესხებდნენ, ხბოს სარგებლად მისცემდნენ მოვალეს.

«სამეგრელოში ბატონი სრულიად ოჯახით აიბარგებოდა ხოლმე, თან დიდ ამალას აიყოლებდა და რომელსამე გლეხს ესტუმრებოდა. სანამდის ყველაფერს არ შეუჭამდნენ ამ საბრალოს, არ მოშორდებოდნენ. შემდეგ მეორეს ჩაუდგებოდნენ. ამ ნაირადვე აოხრებდა ბატონი იმასაც, და სულ ასე დაწანწალებდნენ.

«არც ერთს გლეხის ქალს, ან ცოლს არა ჰქონდა იმედი, რომ თავის სახლში დარჩებოდა და ბატონი არ მოიტაცებდა, თუკი ლამაზი იყო. ბავშვების გაყიდვა ხომ სულ უბრალო საქმედ ითვლებოდა.

«სვანი იშვიათად იქნება, რომ კაცის მკვლელი არ იყოს.

«ქართველები ყველანი მოწითან-მოლურჯო ფერისანი არიან უზომო ღვინის ხმარებისაგან; იმათი ქალები უშნოდ და უაზროდ გამოიყურებიან, არავითარი ჭკუის ნიჭი არ ასვიათ სახეზე. საზოგადოდ კავკასიაში ქართველები სხვა ხალხებზე უფრო ნაკლებ ნიჭიერად ითვლებიან. სკოლებში ქართველები სომხებზედ და თათრებზედ უარესად სწავლობენ. მთელი ქართველი ტომი 1,150,000 სულზედ მეტი არ არისო».

ამ წიგნის შესავალში რეკლიუ ამბობს: „ერთი წილი ჩემის შრომისა კავკასიის შესახებ სიამოვნებით გადაათვალიერა ბ-ნმა მეუნარგიამო». ნეტავი რომელი ერთი ნაწილი გადაუთვალიერებია სიამოვნებით ბ-ნს მეუნარგიას!

უკანასკნელად მოვისმინოთ, როგორი საფუძვლიანი ცნობები არის ამ საუკუნის ქართულ მწერლებზედ მეორე მეცნიერების ნაწარმოებ წიგნში — «მსოფლიო ლიტერატურის ისტორია»-ში: „მეცხრამეტე საუკუნეში ქართველებს ჰყავდათ მწერლები: ბარათაევი, წერეთლევი (Церетелевъ) და მაღალოვი. ქართული სახალხო პოეზია ძალიან ღარიბია“. ამის ნიმუშად შემდეგი ლექსია მოყვანილი:

Пришелъ я только архалухомъ;
Въ Раю съ нимъ я пребывалъ.
Жизнь отъ васъ ожидаю:
Безпокоился въ ожиданіи стыда.

ეს თარგმანია ქართულის ლექსისა. აბა ეხლა ნამდვილიც გაიგონეთ:

ახალუხით მოსულიოდა,
ედემში გამოსრულიოდა —
სიცოცხლეს შენგან მოველი,
ცეცხ და ბეგა ვარ ცხოველი.

გაიგეთ რამე? აი მთელის მეცხრამეტე საუკუნის ქართულის მწერლობის სამაგალითო მარგალიტად ეს გახლავთ წარმოდგენილი!

არ მესმის: «მსოფლიო ლიტერატურის ისტორია» პეტერბურგშია დაწერილი და დაბეჭდილი და ბ-ნმა პროფესორმა ცაგარელმა რატომ არ იხმარა რამე ღონის-ძიება, რომ ქართულ მწერლობის შესახებ ამ ნაირი უშვერი და ულაზათოდ სასაცილო ცნობები არ დაებეჭდათ.

დავით მიქელაძე

27 მარტი

# უცხოეთი

**გერმანია.** აი რას მოგვითხრობენ გაზეთები საკანცლერო კრიზისის გამო გერმანიაში: ინგლისში ძრიელ სცდილობენ, რომ მოხერხდეს ქორწინება ფრიდრიხის მეორე ქალისა და პრინცის ალექსანდრე ბატენბერგისა. ალექსანდრე ბატენბერგის ძმას ჰენრიხს, როგორც ვიცით, ჰყავს ცოლად საყვარელი ქალი ინგლისის დედოფლის ვიქტორიასი, პრინცესა ბეატრისე. თვით იმპერატორი ფრიდრიხიც მოწადინებულია, რომ ქორწინება მოხერხდეს და არაფერს საწინააღმდეგოს არასა ჰხედავს ამ დამოყვრებაში, მით უმეტეს, რომ ამ დღეებში ერთმა პრუსიის პრინცმა, სახელად ჰენრიხმა, უნდა შეირთოს ცოლად ბიძაშვილი პრინც ბატენბერგებისა. საქმე ის არის მხოლოდ, რომ ზემოხსენებულს ქორწინებას დიდად უშლის ხელს საპოლიტიკო მოსაზრებანი. ამ ქორწინებას აუცილებლად მოჰყვება გაგულ-გრილება გერმანიასა და რუსეთს შორის და გაძლიერება ინგლისის გავლენისა ბერლინის სამეფო სასახლეში. უკეთუ ეს ქორწინება მოხერხდებოდა, ინგლისი ეცდებოდა გერმანია გადაჰკიდებოდა ყველას, ვინც ინგლისის მოწინააღმდეგეა პოლიტიკაში. ყველას აქედამ ცხადია, რომ თუ ალექსანდრე ბატენბერგი იმპერატორის ფრიდრიხის მოყვარე შეიქნება, თავადი ბისმარკი უნდა დაეთხოვოს სამსახურს, რადგანაც იმ თავითვე წინააღმდეგი იყო ბატენბერგისა იმის ბოლგარიაში მეფობის დროსაც და შემდეგაც, როცა ქორწინებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი. როცა ბისმარკს შეატყობინეს ეს ამბავი, კანცლერმა დიდად იუკადრა და სამსახურის დატოვების ნება ითხოვა. ჯერ-ჯერობით ამ საგნის გამო არა გადაწყვეტილა-რა. უცდიან ბერლინში ინგლისის დედოფლის მოსვლას 6 აპრილისათვის.

— როცა ფრიდრიხმა გამოუცხადა ბისმარკსაო, ამბობს გაზეთი „Börsen Courrier“-ი: რომ ასე და ასე მწადიან ჩემის ქალის გათხოვებაო, იმპერიის კანცლერმა წარუდგინა იმპერატორს პოლიტიკური მოსაზრებანი, რომელთა გამოც არ შეიძლება მაგრე ქალის გათხოვებაო. მაშინ ფრიდრიხმა აუხსნა ბისმარკს, რომ ჩემის ქალის გათხოვება იმპერატრიცას უნდა დიდადაო. ამაზედ ბისმარკმა სთხოვა იმპერატრიცას, რომ სხვა-და-სხვა მოსაზრებათა გამო ნუ მიათხოვებთ თქვენს ქალს პრინცს ალექსანდრე ბატენბერგსაო.

იმპერატრიცას ყველა ეს მოსაზრებანი ბისმარკისა ჭკუაში არ დაუჯდა. მაშინ ბისმარკმა გამოაცხადა, რომ თუ იმპერატრიცა მაინც თავისას არ დაიშლის, მე იძულებული ვიქმნები სამსახურს თავი დავანებოვო.

როცა შემდეგ ბისმარკმა შეიტყო, რომ პრინცს ალექსანდრე ბატენბერგს მოსვლა განუზრახავს ბერლინშიო, კანცლერმა მისწერა იმპერატორს: თუ მოიწვევთ პრინცს ბერლინში, ჩემს მოვალეობად ჩავსთვლი იმ დღესვე მოგართვათ ქაღალდი სამსახურიდამ გადადგომისა, რა დროსაც ბატენბერგი ბერლინში ფეხს შემოსდგამსო.

ასეა დღეს ეს საქმე. ფრიდრიხს არ უნდა ხელი შეუშალოს თავის ქალის ვიქტორიას ბედნიერებას, მაგრამ თან არც ის უნდა, რომ ბისმარკის საპოლიტიკო ანგარიშები დაირღვეს. ასეთ ორ-წყალში მყოფმა იმპერატორმა ეს საქმე თვითონ მაინც არ გადასწყვიტა და მიანდო თავის მეუღლეს, იმპერატრიცა ვიქტორიას.

— თავადი ბისმარკი რჩევას ჰკითხავს ბენიგსენს, როგორ მოვიქცე, როცა საბოლოოდ გადავსწყვეტავ სამსახურის თავ-დანებებასაო. როგორც ხმა ისმის, იმის მოადგილედ დაინიშნება როგენბახიო.

—«Norddeutsche Allg. Zeit.»-ი ამბობს, რომ ამ უკანასკნელს დღეებში იმპერატორს თავის ტკივილი დასჩემდა და ღამ-ღამობით ძილს უშლიდა. ნახველი ყელისა შემცირდა. მადასა და ღონეზე საკმაოდ კარგად იყოვო. სეირნობით იმპერატორი ორანჟერეაში დასეირნობდა ხოლმე, რადგან ამინდი კარგი ვერ იდგა და ბაღში ვერ გამოდიოდაო.

**საფრანგეთი.** ახალს სამხედრო მინისტრს ბ-ნს ფრეისინეს შემდეგი წერილი დაუგზავნია თავის ხელ-ქვეით გენერლებისათვის: „ჩემო მეგობარო და სასურველო გენერალო! პრეზიდენტი რესპუბლიკისა დიდის ნდობით მომექცა და მომიწოდა განვაგო სამხედრო სამინისტრო. დიდად ვაფასებ ამ ნდობას და მესმის, რა დიდი პასუხის-გებაც ვიტვირთე. რაკი ამით ასე დავიახლოვდით თქვენ, მე ეხლა მხოლოდ იმის მოსურნე ვარ, რომ გავამართლო ის ნდობა, რომლის ღირსიც შევიქენი. მით უმეტეს მოსურნე ვარ ამისი, რომ არას დროს არ მომხდარა ჩვენს ქვეყანაში, სამხედრო სამინისტრო მიენდოთ არა-სამხედრო კაცისათვის. ცხადია, ასეთს ნდობას მხოლოდ იმით გავამართლებ, რომ განუსაზღვრელის ერთგულებით ვიზრუნებ ჯარისა და მხედრობისათვის. ხოლო რა ზრუნვა უნდა იყოს ეს ზრუნვა? უდიდესი საზრუნავი, ჩემის აზრით, ის არის, რომ ჯარი და მხედრობა არ ერეოდეს პოლიტიკაში და განზე უდგეს ყველა იმ საგნებს, რომელიც აღელვებს სხვა-და-სხვა დასსა. ვიდრე მე თქვენი უფროსი ვიქნები, ჯარი და მხედრობა მხოლოდ საფრანგეთის ჯარი და მხედრობა უნდა იყოს, — ჯარი და მხედრობა მოვალეობისა, დარაჯი სარესპუბლიკო დაწესებულებათა და კანონისა. ამიტომ მე მოვითხოვ ყველა ჩემს ხელ-ქვეითს კარგს კაცობას მაგალითსა და სასტიკს აღსრულებას წესისა და რიგისას. გარნა საკმაო არ არის, რომ მხედრობის რომელიმე უფროსმა ყველგან ერთგულება და მორჩილება ჰპოვოს, სიყვარულსა და პატივის-ცემასაც უნდა ჰხედავდეს. აი ასეთი უნდა იყოს თქვენი დედა-აზრები და ამ დედა-აზრებმა უნდა ჩაუდგას სული კაცკაცობისა და მამულიშვილობისა ჩვენს მხედრობასა. მე ვიცი თქვენი თავ-განწირული მამულიშვილობა და სრული იმედი მაქვს, დამეხმარებით შევასრულოთ ძმურად ჩვენი საერთო საქმე. მაშ ვიშრომოთ ერთად: თქვენ ჩემი იმედი იქონიეთ და მე თქვენი იმედი მექმნება. რამდენადაც მეტი გაგვიკეთებია, იმდენად უფრო მეტის გაკეთება საჭიროა. გზა წინ სვლისა მით უფრო ფართო, რამდენსაც უფრო მეტს გზას გავივლით. გავუმაგროთ ნაბიჯსაც, რათა არავინ არ გვეცილოს წინ იმ გზაზე, რომელზედაც ყველა ერი ეძებს სახსარს თავის უვნებლობისა და დამოუკიდებლობის დაცვისას. დარწმუნდით, მეგობარო გენერალო, რომ სულით და გულით თქვენი პატივის-მცემელი გახლავართ. ფრეისინე.“

## წვრილი ამბები

ამერიკაში გამოჩენილა ვიღაც ფილდასი, რომელსაც იქ «მათემატიკო საოცრებას» ეძახიან და მართლაც, რომ საკვირველი მოანგარიშეა თურმე. ამ კაცმა წერა-კითხვა სულ არ იცის, ერთს ასოს მეორე ასოსაგანაც-კი ვერ არჩევს, მაგრამ მათემატიკური ცოდნა-კი ძალიან დიდი აქვს. ფილდასი ეხლა 28 წლის კაცია, ხოლო გამჭრიახი გონება-კი რვა წლიდგანვე შეუნიშნავთ მისთვის. ცოტ-ცოტა შემდეგ ისე გაუვარჯიშნია, რომ საკვირველის სისწრაფით გამოიცნობს ხოლმე მათემატიკის ამოცანებს. ერთს თვალის დახამხამებაზე მოგცემთ, მაგალითებრ, პასუხს ამ გვარს ამოცანაზედ: დედამიწიდგან მთვარემდე ამდენი და ამდენი სივრცეა, ხოლო ხორბლის მარცვალს ამდენი სიგრძე აქვს, რამდენი ხორბლის მარცვალი დაეტევა, ქვეყნის და მთვარეს შუა მანძილი რომ ამოავსოთო და სხ. რამდენჯერმე უცდიათ გამოჩენილ მათემატიკოსებს, მაგრამ იმის პასუხი ყოველთვის სწორე და უტყუარია. ფილდასი არასოდეს სასწავლებელში არა ყოფილა და არა უსწავლიარა, იმის გარდა, რომ ხშირად იწვევდნენ თურმე ვაჭრები და აანგარიშებდნენ თავიანთ საანგარიშოსა. ამისთანა შემთხვევაშიაც მარტო ფილდასი აკეთებდა ოთხი-ხუთის მწერლისა და მოანგარიშეს საქმეს. ფილდასი მაღალის ტანისაა, არაფერს საქმეს არ ადგას და თავის ნაცნობებთან სცხოვრობს თურმე რიგ-რიგობით, ხან რომელთან ათევს ღამეს და ხან რომელთანა. ფილდასს თავი ძალიან მოსწონს თავის ნიჭით და უყვარს, როცა სამსონს შეადარებს ვინმე. ამას წინად დასავლეთ შტატებში იყო, რათა თავის უნარი ეჩვენებინა, და ყველამ აღიარა, რომ ეს კაცი ამ საუკუნის საოცრებააო.

— საქალაქო არჩევნებზე კანზასში მანდილოსანნი ამოურჩევიათ ქალაქის მოურავად. სახელოს წევრადაც ბევრია თურმე ამორჩეული დედათა სქესთაგან.

— ამას წინად იმპერატორ ფრიდრიხ III მიერ გამოცხადებულს ამნისტიაში მოხსენებული არ არის, რომ სოციალისტებსაც უნდა ეპატიოთ თავიანთი დანაშაული. ამის გამო გერმანიის ერთი გაზეთი ამბობს: არც თითონ სოციალისტებს უნდოდათ, რომ იმათთვის ეპატიებინა ვისმე დანაშაულიო. სოციალისტთა უმთავრესმა კომიტეტმა თავის საიდუმლო კრებაზედ გარდასწყვიტა, რომ არც ერთმა წევრმა დასისამ არ უნდა მიიღოს არავითარიმე პატიება, ამნისტიაო. ვინც ამ გარდაწყვეტილებას კრებისას დაარღვევს, გამორიცხულ იქმნება დასისაგანაო.

— გერმანიის კონსერვატორები მეტად ცუდად იქცევიან თურმე გერმანიის ახალ იმპერატორის მიმართ. შარლოტენბურგის კედლებსა და სამეფო ბაღის ხეებზე ამ კონსერვატორებს გაუკრავთ შემდეგ - წარწერიანი ქაღალდები: „იმპერატორი ებრაელთა, ფრიდრიხ კოჰენი“, ვითომ და იმითი უგებენ ნიშნსა, რომ რად დააჯილდოვე ორი მინისტრი ებრაელთა შთამომავლობისანიო. იმპერატორმა გაიგო თურმე ამ ქაღალდების ამბავი, ითხოვა — მაჩვენეთო, და როცა აჩვენეს, ჩაიცინა.

— გაზ. „Times“-მა წერილი დაჰბეჭდა და გადაუფარფრა ბულანჟეს. «ბულანჟესაო, — ამბობს გაზეთი, — არც ქვეყნის მოტყუება უნდა და არც ერისაო. საფრანგეთმა კარგად იცის, რასაც არის მოწადინებული ბულანჟე. ოღონდ იგი პლებისციტის საშუალებით ამოირჩიონ და სხვა აღარა სურს-რა. მაშინ საფრანგეთს ისეთი კაცი ეყოლება, როგორც უნდა, და ნება აქვს კიდეც, რომ ჰყავდეს. ამ შემთხვევაში არც წესი და რიგი ირღვევა, არც კანონი და არც არავის შეუძლიან, რომ უმრავლესობის სურვილსა და ნებას წინ აღუდგესო.

— ნიუ-იორკში ჯერ კიდევ იმაზედ აქვთ ლაპარაკი, როგორ უნდა შეეცვალოთ სიკვდილით დასჯა, რომ დასასჯელი უფრო ნაკლებ იტანჯებოდესო: თოკით საჯობია დარჩობა, თუ ელექტრონის საშუალებით თავის მოკვეთაო. ნიუ-იორკის ერთ განთქმულ ექიმთაგანმა, ვილიამ გამონდმა, ამას წინად ლექცია წაიკითხა თურმე და ამტკიცებდა, რომ სარჩობელის ხმარება უკეთესია, რადგან მსჯავრ-დადებული ჩქარა ჰკარგავს ცნობიერებასა და ელექტრონი-კი ყოველთვის ერთბაშად ვერ უსპობს სიცოცხლესაო. ლექტორის აზრით, ჩამორჩობით სიკვდილის დროს დამნაშავე ჰსიამოვნებს კიდეცაო.

— ისე კვირამ არ გაიაროს თურმე, რომ ელისეს სასახლეში, პარიჟში, არ მივიდეს რომელიმე სულით ავადმყოფი კაცი და არ დაიწყოს თხოვნა: რესპუბლიკის პრეზიდენტი მაჩვენეთ, საგანგებო საქმე მაქვსო. მაგალითებრ, ამ დღეებში ვიღაც კაცი, რომელიც თვალად ოც-და-ათის წლისა იქნებოდა, შესულა სასახლის დერეფანში, სადაც ამ დროს არავინა ყოფილა, დამჯდარა სტოლთან და დაუწყია წერილების წერა. რამდენისამე წუთის შემდეგ დაბრუნებულა მეკარე და ძალიან გაოცებია, როცა უნახავს, რომ სტოლთანა ზის ვიღაც კაცი, რაღასაცა სწერს და თან ბუტბუტებს: «საყვარელო მინისტრო, ძალიან მაკვირვებს თქვენ მიერ ხმის ამოუღებლობა; დაუყოვნებლივ პასუხი მომეცით ტელეფონით».

როცა მეკარეს უკითხავს ამ კაცისათვის, რა გნებავთ, რისთვის მობრძანებულხართო, დაუყვირნია: „რესპუბლიკის პრეზიდენტთან აგრე უკადრისად საქციელი გაგონილა! გაუმარჯოს ბულანჟესა!“ ამ სიტყვებზე მეკარე მიმხვდარა, ვინც ყოფილა ეს კაცი, დაუძახნია ორი მსახური და უბრძანებია: „უთხარით, რომ ბ-ნს პრეზიდენტს ეტლი მოართვანო“. ეს სიტყვები სულით ავადმყოფს ძალიან მოსწონებია, მაშინვე ჩამჯდარა ეტლში და პოლიციაში წაუყვანიათ. ეს უბედური სულ რამდენისამე დღის გამოსული იყო თურმე საგიჟეთიდგან.

# დეპეშა

4 აპრილი

**ბერლინი.** იმპერატორი უქეიფოდ შეიქმნა: ბრონხიტი აქვს და თან ციებაც დააწყებინა.

**პეშტი.** მთავრობას განზრახვა აქვს მოსთხოვოს დელეგაციებს 50 მილიონამდე ფული სამხედრო საჭიროებისათვის.

**ბუქარესტი.** ფერბანიცს ახლო სისხლის-ღვრა მოხდა აჯანყებულ სოფლელთა და ჯარს შორის.

5 აპრილი

**პეტერბურგი.** შემუშავებულ იქმნა პროექტი ახალის სავექსელო წესდებისა. ამ პროექტის ძალით, სხვათა შორის, გათხოვილს ქალებს ნება ექმნებათ თავისი სახელი მოაწერონ ვექსილს ქმრის დაუკითხველად.

იმათ, ვინც სწავლას გაათავებს საგუბერნიო სატეხნიკო პროფესიონალურ სკოლებში, რომელთ დამართვაც სწადიანთ, მიეცემათ სამხედრო ბეგრის შესრულების შემდეგ იგივე შეღავათი, რაც საშუალო სასწავლებლებში კურს-შესრულებულთ ეძლევათ. რეალურ სასწავლებლების გადაკეთება 1889 წლის ზაფხულზე ადრე ვერ მოხერხდება, რადგანაც ეს საქმე გადაეცემა განსახილველად ტეხნიკების კრებასაო.

**პარიჟი.** ქიულ ფერიმ წარმოსთქვა გუშინ ეპინალში სიტყვა და ბულანჟეს აჯანყებული ჯარის-კაცი დაარქვა. ორატორი ამართლებდა ოპორტუნისტების დასს და სთქვა, რომ ეხლანდელი პალატა ბოროტად გამოიყენებდა ხოლმე სამინისტრო კრიზისების საქმესაო. შემდეგ ფერიმ რამდენიმე სიტყვა სთქვა სენატის სასარგებლოდ და ასე განაგრძო: «ეხლანდელმა კრიზისმა დაგვანახვა, რომ პირდაპირ ხმის მოკრება ერისა არაფერს არ აშავებს, მხოლოდ პალატისათვის არის საშიში და სენატის დაცვის საჭიროებას-კი გვიმტკიცებს. დღევანდელი ყოფა 2 დეკემბრის ქურდობით დაბრუნებააო. შემდეგ ფერიმ სთქვა, რომ მე მომხრეობას გავუწევ ფლოკეს სამინისტროსაო. მაგრამ ვთხოვ ფლოკეს ბულანჟიზმის შესახებ უფრო მხნედ მოიქცეს, სასტიკად გაუმკლავდეს ამ ამბავს, შეჰქმნას ძლიერი და შეერთებული დასი რესპუბლიკელთა ცეზარიზმისა და პლებისციტის საწინააღმდეგოდაო. «ცეზარიზმის აღდგენაო, —სთქვა ორატორმა,—ომს აგვატეხინებს გარედაო; ჩვენ დავკარგავთ პატივის-ცემას ევროპიის მხრივ, უკეთუ ორმოცის წლის განმავლობაში ხელ-მეორედ ვიწამებდით უბრალო სიკვდილის შვილს გენიოსად და კატილინას დავსახავდით ვაშინგტონადაო». ბოლოს ფერიმ სთქვა: თავი მომწონს, რომ ბულანჟეს მომხრე გაზეთები ავად მახსენებენ და მლანძღავენო. ჩემს კისერზე იყოს მაგ ლანძღვის და ავად ხსენების ავიცა და კარგიცაო. ვსთხოვ მხოლოდ ყველა კეთილს მამულიშვილს ასდგეს და ებრძოლოს ამ ცეზარიზმის ნასხლეტებსა და გაფარდნილებსა, რომელნიც ყოველთვის სამარცხვინოსა და სისხლით შეთხვრილს ქაღალდსა სტოვებდნენ საფრანგეთის ისტორიაშიო.

ბულანჟე მადლობის წიგნსა სწერს ჩრდილო დეპარტამენტის ამომრჩევლებსა და განმეორებით ამბობს: ჩემი თქმა ის არის, რომ პალატადა ვითხოვოთ და კონსტიტუცია ხელ-ახლად გადავსინჯოთო, რისთვისაც საჭიროა მოწოდებულ იქმნას კონსტიტუციის დამაარსებელთა კრება. დასასრულ ბულანჟე ამბობს, რომ საკმაო არ არის სიყვარული რესპუბლიკისა და მამულისაო; საჭიროა ამათის დაფარვისა და დაცვის უნარიცაო.

**ბერლინი.** იმპერატორის ყოფა ძალიან საშიშია. იმპერატორს ბრონხიტი აქვს, რომელსაც თან მოსდევს ციებაცა; საჭირო შეიქმნა, რამდენჯერმე გამოეცვალათ სასუნთქი მასრა. სასახლეში იყვნენ რიგ-რიგობით თითქმის ყველა წევრნი საიმპერატორო ოჯახისანი და ბევრნი სხვა დიდებულნი და წარჩინებულნიცა. ბისმარკი ნახევარ საათის განმავლობაში მარტოდ-მარტო იყო იმპერატორთან, ხოლო შემდეგ დიდხანს ილაპარაკა მემკვიდრე პრინცთან. ნაშუადღევს კანცლერთან შეიკრიბნენ მინისტრები და ბჭობა და თათბირი ჰქონდათ საიდუმლოდ. მთელს დღეს სასახლეს გარს ეხვია დიდ-ძალი ხალხი. გაზეთები არა ჰმალავენ, რომ იმპერატორის მდგომარეობა საშიშია. „ჩრდილო-გერმანიის საყოველთაო-გაზეთი“ ამბობს, რომ ყელის ტკივილი აღარ აწუხებს იმპერატორსაო. ბირჟა მიბინარებულია.

**პეტერბურგი.** გუშინ გარდაიცვალა აბრაამ მოსეს ძე ვარშავ'კი.

პეტერბურგის ბირჟა 1 აპრილი

| | მყიდველთა. | გამყიდველთა. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 53 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 190½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — ,, | — ,, | 1 4 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — ,, | — ,, | 269½ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 245½ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აპრილი 30 დღით არის.

6 დღე ოთხშაბათი. წამ. იერემიასი და ევტიხისა. კათოლ. ცელესტინასი. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—16, ჩადის 6—44. მთვარე 8 დღისაა.

7 დღე ხუთშაბათი. დანილისა და სერაპიონისა. კათოლ. რუფინისა. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 6—45. მთვარე 9 დღისაა.

8 დღე პარასკევი. მოწ. იროდიონისა და ფლეგონტისა. კათოლ. იანუარისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—13, ჩადის 6—39. მთვარე 10 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . . 3 »
2 › 2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 ›
› » 2 › 3½
› › 3 › 3 ›
ძვარის მამის პურის ლავაში ›
1-ლის ხარისხისა . . 5 ›
მე-2 ხარისხისა . . 4 ›
მე-3 — . . . › ›
ძროხის ხორცი . . . 9 ›
› 2 › 8 ›
სუკი . . . . 16 ›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 12 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. » ›
› 2 › » ›

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. |
|---|---|---|---|---|
| | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 |
| ავჭალა. . . . | 9 | 9 | 9 | 11 |
| მცხეთა. . . . | 9 | 32 | 9 | 40 |
| ქსანი . . . . . | 10 | 3 | 10 | 05 |
| კასპი. . . . . . | 10 | 33 | 10 | 36 |
| გრაკალი . . . | 10 | 59 | 11 | 1 |
| გორი. . . . . | 11 | 25 | 11 | 40 |
| ქარელი . . . | 12 | 8 | 12 | 11 |
| გომი . . . . . | 12 | 37 | 12 | 41 |
| ხაშური. . . . . | 1 | 2 | 1 | 17 |
| სურამი. . . . . | 1 | 29 | 1 | 32 |
| ფონი. . . . . . . | 2 | — | 2 | 3 |
| ბექათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 |
| მარელისი. . . | 3 | 45 | 3 | 48 |
| ბელაგორი. . | 4 | 15 | 4 | 18 |
| ძირულა. . . . . | 4 | 45 | 4 | 48 |
| ყვირილა. . . | 5 | 26 | 5 | 40 |
| აჯამეთი. . . . | 6 | 14 | 6 | 16 |
| | საღამოთი | | | |
| რიონი . . . . . | 6 | 29 | 6 | 44 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 |
| საჯავახო. . . | 8 | 5 | 8 | 7 |
| ნიგოითი . . . | 8 | 27 | 8 | 30 |
| ლანჩხუთი. . | 8 | 42 | 8 | 46 |
| სუფსა. . . . . . | 9 | 19 | 9 | 27 |
| ნატანები. . . . | 9 | 52 | 9 | 55 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 |
| ბათუმი . . . . | 11 | 13 | — | — |

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. |
|---|---|---|---|---|
| | დილით | | | |
| ბათუმი. . . . | — | — | 8 | 4 |
| ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| ნატანები. . . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| სუფსა . . . . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| ლანჩხუთი. . . | 10 | 35 | 10 | 39 |
| ნიგოითი. . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| საჯავახო . . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| რიონი. . . . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| აჯამეთი . . . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ყვირილა. . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ძირულა . . . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| მარელისი. . . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ბექათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ფონი . . . . . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| | საღამოთი | | | |
| სურამი. . . . . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| ხაშური. . . . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| გომი . . . . . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| ქარელი. . . . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| გორი . . . . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| გრაკალი. . . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| კასპი . . . . . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| ქსანი . . . . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| მცხეთა . . . . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ავჭალა. . . . . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დღისით | | | |
|---|---|---|---|---|
| ტფილისი. | — | — | 3 | 21 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 |
| გრაკალი. . | 6 | — | 6 | 3 |
| | საღამოთი | | | |
| გორი. . . | 6 | 31 | 6 | 45 |
| ქარელი. . . | 7 | 18 | 7 | 24 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — |

| | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|
| სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| გორი. . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი. . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | დილით | | | |
| კასპი. . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში მესამე სახელმძღვანელო წიგნი მიხეილ ნასიძისა:

ქართველი მწერლები
ვახტანგ მე-VI.
ფასი 15 კაპ.
(10—2)

ნამდვილი საუნჯეა
ყველასათვის განთქმული წიგნი
**თავის მოვლა**
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეს წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlags-Magazin in Leipzig. (50-10)

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის საიჩქებისა,
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

**ქარხანა**
გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50—46)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . . | ,, | 20 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | ,, | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . | ,, | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა გიორგი წერეთლისა მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . | ,, | 20 |
| ოტელო შექსპირის ტრაგედია ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . | ,, | 50 |
| ჩატეხილი ხიდი შენიშვნები «ოთარაანთ ქვრივზე» . . | ,, | 15 |


Доз. цен. Тиф., 5 апрѣля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე